**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის**

**ეთიკის კომისიის**

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე**

**მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი:** ე. გ.

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 16.07.2020

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** 061/20

**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ მ. ბ.-ს მიმართ, სიითი N

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ მ. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება;

**I აღწერილობითი ნაწილი:**

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 15 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ე. გ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2020 წლის 5 აგვისტოს, საჩივრის ავტორმა მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის სხდომაში.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით 2016 წლის 01 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა სარჩელით საზიარო საგნით სარგებლობისა და ფლობის ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით. საქმე წარმოებაში გადაეცა მოსამართლე ვ. დ.-ს. მოგვაინებით საჩივრის ავტორმა სასამართლოში ასევე წარადგინა სარჩელი ნატურით გამოყოფის გზით საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნით. სასამართლოს მხრიდან გაჭიანურდა პროცესის ჩანიშვნა ე. გ.-ს არაერთი მიმართვის მიუხედავად. 2017 წლის 26 დეკემბერს საჩივრის ავტორს დაურეკა მოსამართლე ვ. დ.-ს თანაშემწემ და სთხოვა სასამართლოში მისვლა. თანაშემწესთან შეხვედრის დროს, მან ე. გ.-ს განუმარტა, რომ მოსამართლეს ჰქონდა ძალიან ბევრი საქმე რადგან იყო წლის ბოლო და თუ

სარჩელს იანვარში თავიდან შეიტანდა მისი საქმე მალევე განიხილებოდა. ე. გ.-მ თანაშემწის კარნახით დაწერა განცხადება სარჩელის გამოხმობის მოთხოვნით. 2017 წლის 28 დეკემბერს ე. გ.-მ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის თანამშრომელს, რომელმაც უთხრა, რომ სარჩელის შეტანა ვერ მოხდებოდა მისთვის სასურველ მოსამართლესთან, რადგან აკრძალულია მსგავსი მოქმედება. 2018 წელს, ე. გ.-მ გადაწყვიტა ავდოკატის აყვანა და მას ურჩიეს ადვოკატი მ. ბ..

1.3 2018 წლის 28 ივნისს ადვოკატ მ. ბ.-სა და ე. გ.-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების თაობაზე 5 წლის ვადით. ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატს მომსახურება უნდა გაეწია სასამართლოში, რისთვის ჰონორარი განისაზღვრა 500 ლარით.

1.4 საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატმა მისი საქმე აწარმოა არაკეთილსინდისიერად, გულგრილად და არაკვალიფიციურად, რის გამოც ე. გ.-ს მიადგა, როგორც მატერიალური, ასევე მორალური ზიანი. თავდაპირველად, 2018 წლის 11 ივლისს ადვოკატმა ე. გ.-ს მოთხოვნით სარჩელი შეიტანა სასამართლოში კრები ოქმის და საჯარო რეესტრის ბათილად ცნობის მოთხოვნით, რომელიც სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო, ასევე სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში 2019 წლის 07 მაისს იგივე საფუძვლით შეტანილი მეორე სარჩელიც. მ. ბ.-მ ვერ შეძლო სასამართლოს მიერ მითითებული ხარვეზის აღმოფხვრა, რის გამოც აღარ მიმართა სასამართლოს იგივე მოთხოვნით.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მას შესთავაზა სასამართლოსთვის მიემართათ საზიარო უფლების სარგებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რადგან მისი განმარტებით ჯერ თანხის მიღება უნდა განეხორციელებინათ, ამის შემდეგ კი მოეთხოვათ სამკვიდრო ქონებიდან წილი. ადვოკატმა გარანტია მისცა ე. გ.-ს, რომ საქმეს მოიგებდა. თუმცა, ე. გ.-ს სურვილი იყო სასამართლოსთვის მიემართათ საზიარო საგნით სარგებლობის, ხელშეშლის აღკვეთის და ნატურით გაყოფის გზით საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნით. ადვოკატის შედგენილი სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლომ წარმოებაში მიიღო 2018 წლის 5 ნოემბერს. სარჩელის ჩაბარების მიზნით შეუძლებელი გახდა მოპასუხეთა მოძიება და თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა ე. გ.-ს სასარჩელო მოთხოვნა. გადაწყვეტილება გაასაჩივრეს მოპასუხე მხარეებმა, რის შემდეგაც სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოწინააღმდეგე მხარის სააპელაციო საჩივარი.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2019 წლის 30 აპრილის სააპელაციო სასამართლოს სხდომის თაობაზე სასამართლოდან შეატყობინეს ე. გ.-ს და სხდომისთვის ერთი საათით ადრე მივიდა მოწმესთან ნ. ტ.-სთან ერთად. ადვოკატმა დაიგვიანა და როგორც მან, ასევე საჩივრის ავტორმა არ იცოდა, რომ სხდომის დარბაზი იყო შეცვლილი. ამის თაობაზე არც დარბაზთან იყო რაიმე წარწერა გაკეთებული. ადვოკატი წავიდა დარბაზის დასადგენად, მაგრამ სხდომა უკვე დამთავრებული იყო. 2019 წლის 30 სექტემბერს გამართულ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე კი არ გამოცხადდა ადვოკატი. სასამართლოში ყოფნისას საჩივრის ავტორმა დაურეკა ადვოკატს, თუმცა მან არ უპასუხა. სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ წაიკითხა ადვოკატის განცხადება, რომ ის ვერ ახერხებდა სასამართლო სხდომაზე გამოცხადებას, რაზედაც მ. ბ.-მ წინასწარ არ აცნობა ე. გ.-ს.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის პარალელურად, სარჩელი შეიტანა ბათუმის საქალაქო სასამართლოში, რის თაობაზეც ე. გ.-ს ინფორმაცია არ მიაწოდა. ადვოკატმა სარჩელთან ერთად წარადგინა სხვა ქონების ფოტოსურათები და არა ე. გ.-ს მიერ მეილზე გადაგზავნილი სურათები. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სხვა ფოტოსურათების წარდგენით ადვოკატს სასამართლოს მოტყუება და პროცესის მოგება სურდა, რაც მისთვის მიუღებელია. 2019 წლის 26 აპრილს საჩივრის ავტორმა მიიღო ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. ქონებაზე ყადაღის დადების მიზნით საჭირო გახდა ბათუმში გამგზავრება. საჩივრის ავტორმა თავისთვის და ადვოკატისთვის აიღო ორი ბილეთი, ასევე გადაიდა ტაქსის ფული რკინიგზის სადგურიდან საცხოვრებელ სახლამდე და მ. ბ.-ს მისცა 40 ლარი ოთახის ქირაობისათვის.

1.8 ე. გ.-ს განცხადებით, 2019 წლის 23 ოქტომბერს, გამომძიებელთან შეხვედრის დროს ადვოკატი არ გამოცხადდა პოლიციის შენობაში, რისთვისაც 2019 ადვოკატმა მას არ უპასუხა და შეტყობინება გაუგზავნა, რომ დაკავებული იყო და თუ რაიმე სჭირდებოდა მიეწერა.

1.9 ე. გ. ასევე განმარტებას აკეთებს ადვოკატთან კომუნიკაციის პრობლემაზე. კერძოდ, ურთიერთობის პერიოდში ადვოკატი საკუთარი ინიციატივით არ ეკონტაქტებოდა მას, უპასუხოდ ტოვებდა მის ზარებს და ორი წლის განმავლობაში მათი შეხვედრების რაოდენობა არ აღემატებოდა თხუთმეტს. სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საჩივრის ავტორი საერთოდ ვეღარ უკავშირდება ადვოკატს. ე. გ.-მ ადვოკატისგან შეიტყო, რომ ოჯახური პრობლემების გამო ფიქრობდა საქმიანობის შეწყვეტას.

1.10 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატს მომსახურებისთვის გათვალისწინებული ჰონორარის თანხა - 500 ლარი, აუდიტის დასკვნისთვის საჭირო თანხა - 150 ლარი, სახელმწიფო ბაჟის თანხა პირველი ინსტანციისთვის - 254 ლარი, ხოლო მეორე ინსტანციისთვის 336.82 ლარი. ასევე, საჩივრის ავტორმა ადვოკტს გადასცა ბათუმის საქალაქო სასამართლოში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის თანხა - 500 ლარი. ე. გ. აღნიშნავს იმასაც, რომ მისი მხრიდან პერიოდულად ხდებოდა ადვოკატისთვის სხვადასხვა მიზნით თანხების გადაცემა, მაგალითად ე. გ.-მ ადვოკატს მისი ძმის წამლისთვის გადასცა თანხა, ასევე საჩივრის ავტორმა უზრუნველყო ადვოკატის ბათუმში მგზავრობის და ბათუმში ყოფნის დროს საცხოვრებელი ბინის ქირის გადახდა. საჩივრის ავტორმა ადვოკატს აჩუქა ტანსაცმელიც.

## 2. მოწმე ლ. ლ.-ს პოზიცია:

2.1 2020 წლის 5 აგვისტოს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმის სახით გამოიკითხა საჩივრის ავტორის მეგობარი - ლ. ლ., რომელმაც განმარტა, რომ ადვოკატსა და ე. გ.-ს საწყის ეტაპზე კარგი ურთიერთობა ჰქონდათ და მათ შორის იყო მეგობრული დამოკიდებულება.

2.2 მოწმე განმარტავს, რომ ის სამჯერ შეესწრო ე. გ.-სა და მ. ბ.-ს კომუნიკაციას სასამართლო პროცესების შემდგომ. მათ ჰქონდათ საქმიანი ურთიერთობა და საუბრობდნენ სამომავლო გეგმებზე. შესაბამისად, ლ. ლ.-ს დარჩა შთაბეჭდილება, რომ ადვოკატი კომპეტენტურად

ასრულებდა თავის საქმიანობას. ლ. ლ.-სთან საუბრის დროს ე. გ. უკმაყოფილებას გამოთქვამდა საქმის გაჭიანურებაზე.

2.3 მოწმე აღნიშნავს, რომ ის არ ფლობს ინფორმაციას საჩივრის ავტორისა და ადვოკატის ბათუმში ერთობლივი მგზავრობის შესახებ და არ იცის ვის მიერ მოხდა მგზავრობის თანხის გადახდა.

**3. მოწმე ნ. ტ.-ს პოზიცია:**

3.1 2020 წლის 5 აგვისტოს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმის სახით გამოიკითხა საჩივრის ავტორის მეგობარი - ნ. ტ., რომელმაც განმარტა, რომ ე. გ.-ს სამოქალაქო დავაზე ინფორმაცია ჰქონდა თავად საჩივრის ავტორისგან, ადვოკატს კი შეხვდა მხოლოდ ორჯერ.

3.2 პირველი შეხვედრა შედგა 2018 წლის ნოემბრის თვეში, როდესაც მოწმე სასამართლოს სხდომათა დარბაზთან იმყოფებოდა საჩივრის ავტორთან ერთად. ადვოკატმა დააგვიანა მოსვლა და აცნობა მათ, რომ დაავიწყდა პროცესი და ინფორმაციის მიწოდება, რომ სხდომის დარბაზი შეიცვალა. დარბაზის კარზე განთავსებულ წარწერას, რომ სხდომა გადატანილია ადვოკატმა სურათი გადაუღო. ნ. ტ.-ს ადვოკატს შორის მეორე შეხვედრა შედგა საჩივრის ავტორისა და ადვოკატის ბათუმში გამგზავრებამდე. მოწმე მანქანაში ელოდებოდა ე. გ.-ს, როდესაც მან თავად შეიძინა მგზავრობის ბილეთები, ხოლო შემდეგ ადვოკატს შეატყობინა ბილეთების შეძენის შესახებ.

3.3 ნ. ტ. აღნიშნავს, რომ ე. გ. ხშირად ეხმარებოდა ადვოკატს ფინანსურად, მათ შორის საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადასცა მისი ძმის წამლისთვის საჭირო თანხა.

**4. ადვოკატის პოზიცია**

4.1 2020 წლის 28 ივლისს, ადვოკატმა მ. ბ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. ადვოკატი მ. ბ. განმარტავს, რომ ის კეთილსინდისიერად ემსახურა საჩივრის ავტორს ორი წლის განმავლობაში.

4.2 ადვოკატის განმარტებით, ე. გ.-სთან პირველი კომუნიკაცია შედგა 2018 წლის 25 ივნისს, რის შემდეგ მათ გააფორმეს ხელშეკრულება, ხოლო 2018 წლის 28 ივნისს საჩივრის ავტორმა ადვოკატს მინდობილობით მიანიჭა მისი ინტერესების დაცვა.

4.3 საჩივრის ავტორმა ადვოკატს მოსთხოვა სარჩელის შედგენა საზიარო უფლების სარგებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. ადვოკატმა შეადგინა სარჩელი და მიმართა სასამართლოს. 2018 წლის 5 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა ე. გ.-ს საჩივარი. დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა მოპასუხე მხარემ, რაზედაც გაიმართა სხდომა. სხდომის თარიღი ეცნობა ე. გ.-ს, თუმცა მას შეეშალა სხდომის დარბაზი და სხდომის საათი, რის გამოც ვერ შეძლო სხდომაზე დასწრება. დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა, ხოლო 2019 წლის 30 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ე. გ.-ს სარჩელი, რადგან მან ვერ წარმოადგინა ის მტკიცებულებები და მოწმეები, რომლებიც დაადასტურებდნენ ფაქტობრივ გარემოებებს. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ადვოკატმა მ. ბ.-

მ. სააპელაციო საჩივრის განხილვის მიზნით სხდომა ჩაინიშნა 2019 წლის 30 სექტემბერს. სააპელაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე ვერ გამოცხადდა ადვოკატი, რადგან ჰქონდა პარალელური პროცესი გორის რაიონულ სასამართლოში, რაზედაც განცხადებით აცნობა სასამართლოს და იაშუამდგომლა სხდომის გადადების თაობაზე. ე. გ. წინააღმდეგი იყო სხდომის გადადებაზე, რის გამოც ჩატარდა სხდომა და უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

4.4 ადვოკატის განცხადებით, ის სამოქალაქო საქმის პარალელურად აწარმოებდა სისხლის სამართლის საქმეს ოქმების სიყალბის დადგენის მიზნით, რაზედაც 2019 წლის 12 ივლისს გამოწერა ორდერი და ორჯერ დაესწრო ე. გ.-ს გამოკითხვას ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილებაში.

4.5 ადვოკატმა კლიენტის თხოვნით ასევე შეადგინა სარჩელი სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის მოთხოვნით, რომელიც თავდაპირველად შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლომ უარი თქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე განსჯადობის საფუძვლით. ადვოკატმა სარჩელი გადააგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოში. ბათუმის საქალაქო სასამართლომ წარმოებაში მიიღო სარჩელი და ამჟამად ისინი ელოდებიან პროცესის დანიშვნას. ადვოკატმა ასევე განცხადებით მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნით, რაც დაკმაყოფილდა და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო ბათუმში მდებარე სამკვიდრო ქონებას.

4.6 ადვოკატის განმარტებით, ე. გ.-სგან მიიღო მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში მომსახურებისთვის გათვალისწინებული ჰონორარი - 500 ლარი. საჩივრის ავტორმა მას არ გადასცა სისხლის სამართლის საქმეზე გამოწერილი ორდერის თანხა, ასევე ბათუმის საქალაქო სასამართლოში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის თანხა - 400 ლარი და აუდიტის დასკვნისთვის გათვალისწინებული - 200 ლარი, შესაბამისად ე. გ.-ს ადვოკატისთვის გადასახდელი აქვს 600 ლარი. ადვოკატი აღნიშნავს, რომ კლიენტის მიერ გადახდილი 500 ლარიდან მას დაუკავდა საშემოსავლო 100 ლარის ოდენობით, ხოლო დანარჩენი თანხა სარჩელის შედგენასა და ტრანსპორტირებაში გახარჯა. ე. გ.-ს მოპარეს ადვოკატისთვის მისაცემი თანხა, რის გამოც ვერ ახერხებდა ბათუმში გამგზავრებას. ადვოკატმა საკუთარი ხარჯით, ორჯერ წაიყვანა კლიენტი ბათუმში, აცხოვრა ახლობლის ოჯახში და კლიენტს დედის საფლავზეც გაჰყვა.

4.7 ადვოკატი უარყოფს კლიენტთან კომუნიკაციის პრობლემას და აღნიშნავს, რომ მას შემდეგ რაც ე. გ.-ს მოსთხოვა თანხის გადახდა, თავად კლიენტი არ პასუხობს მის ზარებს და არ მიდის მასთან ოფისში.

## II სამოტივაციო ნაწილი

**5. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:**

5.1 ადვოკატი მ. ბ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია – საერთო.

5.2 ე. გ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2020 წლის 16 ივლისს .

5.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2018-2019 წლებში. შესაბამისად, დაცულია ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2)

## 6. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ მ. ბ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

## 7. სამართლებრივი შეფასება

7.1 ე. გ.-ს პრეტენზიები ადვოკატ მ. ბ.-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატის მიერ შედგენილი სარჩელები სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო; ადვოკატმა თვითნებურად შეცვალა დავის საგანი თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ სარჩელში; ადვოკატი არ გამოცხადდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე, რის თაობაზე არ მიაწოდა ინფორმაცია კლიენტს, ასევე ადვოკატი არ გამოცხადდა პოლიციის განყოფილებაში, როდესაც ე. გ. დაბარებული იყო გამოკითხვის მიზნით; ადვოკატმა სარჩელს დაურთო არარეალური ფოტოსურათები.

7.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ბ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.ა მუხლი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.
>
> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

7.3 ადვოკატმა პროფესიული საქმიანობა უნდა განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს იმ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, რომლებიც აიღო კლიენტთან შეთანხმებით, მისი საქმის საწარმოებლად. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტი კანონით გათვალისწინებული საშუალებებით და მასთან შეთანხმებით მიიღო საქმისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

7.4 საქმეში წარმოდგენილია 2018 წლის 25 ივნისს ადვოკატ მ. ბ.-სა და ე. გ.-ს შორის გაფორმებული შეთანხმება საადვოკატო მომსახურების გაწევის შესახებ, რომლის მიხედვით ადვოკატს საჩივრის ავტორის ინტერესები უნდა დაეცვა სასამართლოში, მომსახურებისთვის გათვალისწინებული იქნა ჰონორარი 500 ლარის ოდენობით. შეთანხმებაში არ არის დაკონკრეტებული სასამართლო ინსტანცია. 2018 წლის 26 ივნისის შედგენილი რწმუნებულების მიხედვით კი ე. გ.-მ უფლებამოსილება მიანიჭა ადვოკატ მ. ბ.-ს დაეცვა მისი ინტერესები ყველა ინსტანციის სასამართლოში, ასევე დამატებით განისაზღვრა მისთვის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, სარჩელის სასამართლოში წარდგენა, მასზე ხელმოწერა და დავის მორიგებით

დასრულება. 2018 წლის 28 ივნისს ე. გ.-მ ადვოკატს საბანკო გადარიცხვის წესით გაუგზავნა შეთანხმებული მომსახურებისთის გათვალისწინებული თანხა - 500 ლარი.

7.5 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 11 ივლისის განჩინების მიხედვით დგინდება, რომ 2019 წლის 06 ივლისს სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა კრების ოქმის და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა. განჩინებაში აღნიშნულია, რომ წარდგენილ აღიარებით სარჩელში არ იყო მითითებული იურიდიული ინტერესი, ასევე დასაზუსტებელი იყო მოპასუხეთა წრე, რის გამოც ე. გ.-ს უარი ეთქვა სარჩელის განსახილველად მიღებაზე. 2019 წლის 02 მაისს ე. გ.-ს წარმომადგენელმა მ. ბ.-მ კვლავ მიმართა სსასამართლოს სარჩელით და მოითხოვა კრების ოქმების ბათილად ცნობა და სადავო უძრავი ქონების 1/3 წილზე მესაკუთრედ აღიარება. 2019 წლის 07 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით ე. გ.-ს უარი ეთქვა სარჩელის განსახილველად მიღებაზე, ვინაიდან სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელი არ იყო ფორმალურად გამართული, არ იყო სრულყოფილად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და არ იყო წარდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები.

7.6 ე. გ.-ს პრეტენზია უკავშრდება ზემოთ აღნიშნული განჩინებების შედეგს, რადგან მიიჩნევს, რომ ადვოკატის ბრალეულობით მოხდა სარჩელებზე უარის თქმა. საპროცესო კოლეგია საჩივრის ავტორს მიუთითებს, რომ კომისიას არ აქვს უფლებამოსილება შეაფასოს ადვოკატის მომსახურების ხარისხი, რადგან „კოლეგია ვერ მიუთითებს ადვოკატს რომელი საპროცესო მოქმედების განხორციელება იქნებოდა კლიენტის ინტერესებისთვის უკეთესი, როგორ შეიძლებოდა უკეთ დასაბუთებულიყო საპროცესო დოკუმენტი ან სამართლებრივი დასკვნა, და რა სავარაუდო გავლენას იქონიებდა აღნიშნული საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე. ეთიკის კომისია ვერ შევა სასამართლოს კომპეტენციაში, რომელსაც შეუძლია წარმომადგენლობით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადვოკატისთვის დაკისრება (სსკ 712, 719 და სხვა მუხლები)“ (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N083/18).

7.7 პრეტენზიას, რომლის მიხედვით ადვოკატმა თვითნებურად შეცვალა დავის საგანი, ადვოკატი პასუხობს, რომ ეს იყო საჩივრის ავტორთან შეთანხმებული. საჩივრის ავტორი 2020 წლის 5 აგვისტოს დამატებით წარმოდგენილ განმარტებაში მიუთითებს, რომ მან იცოდა სარჩელში მითითებული მოთხოვნის - ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რადგან ადვოკატმა შესთავაზა მას ამ საფუძვლით დავა და გარანტია მისცა საქმის წარმატებით დასრულებაზე. შესაბამისად, საჩივრის ავტორი თავადვე ადასტურებს სარჩელში მითითებული მოთხოვნის თაობაზე ინფორმირებულობას, რაც გამორიცხავს ადვოკატის მხრიდან სარჩელის მოთხოვნის შეცვლას თვითნებურად, კლიენტის ინფორმირების გარეშე.

7.8 საჩივრის ავტორის პრეტენზია ასევე ეხებოდა 2019 წლის 30 სექტემბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე და პოლიციის განყოფილებაში ადვოკატის გამოუცხადებლობას. მხარეთა ახსნა-განმარტებებით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2019 წლის 30 სექტემბრის სხდომისთვის ადვოკატმა წარადგინა განცხადება, რომ ვერ შეძლებდა სხდომაზე დასწრებას. ადვოკატი ასევე აღნიშნავს, რომ ე. გ.-მ უარი განაცხადა სხდომის გადადებაზე, რასაც საჩივრის ავტორი უარყოფს. საქმეში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულება, რის გამოც ვერ დგინდება ე. გ.-ს უარი სასამართლო სხდომის გადადებაზე,

მაგრამ უდავოა, რომ სხდომა ჩატარდა. მიუხედავად იმისა, რომ არ დგინდება მითითებული ფაქტი, მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატმა მოახდინა სასამართლოს ინფორმირება და უზრუნველყო, რომ სხდომა სხვა დროისთვის გადადებულიყო, რადგან ჰქონდა ამის საპატიო მიზეზი (იმყოფებოდა გორში, სხვა სასამართლო პროცესზე). ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატის შუამდგომლობა სხდომის გადადების თაობაზე ემსახურებოდა კლიენტის ინტერესებს, გარდა ამისა, სასამართლომ არ გაითვალისწინა ადვოკატის განცხადება, რის გამოც არ დასტურდება ადვოკატის არაკეთილსინდისიერი ქცევა. ასევე, მხარეთა განსხვავებული განმარტებებისა და მტკიცებულებების არარსებობის პირობებში არ დასტურდება ადვოკატის გამოუცხადებლობა პოლიციის სამმართველოში ე. გ.-ს გამოკითხვისას.

7.9 მხარეთა განსხვავებული ახსნა-განმარტების პირობებში მნიშვნელოვანია საქმეში წარმოდგენილი იყოს შესაბამისი მტკიცებულებები, რადგან სწორედ მტკიცებულებების საფუძველზე დასტურდება საჩივრის ავტორის პრეტენზიების საფუძვლიანობა. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორს არ აქვს წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლის მიხედვით დადასტურდებოდა მისი პრეტენზია ადვოკატის მხრიდან ბათუმის საქალაქო სასამართლოში სხვა ფოტოსურათების წარდგენის შესახებ.

7.10 ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეთიკის კომისია მიუთითებს, რომ არ დასტურდება ადვოკატის მხრიდან კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად ქცევის ვალდებულების დარღვევა. ის ფაქტი, რომ საქმეზე არ დადგა კლიენტისათვის სასარგებლო შედეგი, არ გულისხმობს ადვოკატის არაკეთილსინდისიერ და არაკვალიფიციურ მომსახურებას.

7.11 საჩივრის ავტორის პრეტენზიით ადვოკატმა ინფორმაცია არ მიაწოდა კლიენტს ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარჩელის წარდგენის შესახებ, ასევე საჩივრის ავტორი უკმაყოფილებას გამოთქვამს ადვოკატთან კომუნიკაციის პრობლემაზე. საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის ფარგლებში:

> ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია ..., რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან“
>
> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ“

7.12 ,,ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე... ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე“ (ეთიკის კომისიის 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, დისციპლინურ საქმე N074/10)

7.13 საქმეში წარმოდგენილია ბათუმის საქალაქო სასამართლოში 2019 წლის 01 აპრილს შეტანილი სარჩელი, რომლის მიხედვით მოსარჩელეა ე. გ., დავის საგანია მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა და სარჩელზე ხელმომწერია საჩივრის ავტორი ე. გ.. შესაბამისად, სარჩელზე ხელმოწერით

საჩივრის ავტორი ადასტურებდა, რომ მისთვის ცნობილი იყო სარჩელის შედგენის, სასარჩელო მოთხოვნის და ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარჩელის გაგზავნის შესახებ, რის გამოც მოცემულ ნაწილშიც არ დასტურდება ე. გ.-ს პრეტენზია.

7.14 საქმის მასალების მიხედვით ადვოკატსა და კლიენტს შორის საქმიანი ურთიერთობა მომდინარეობს 2018 წლიდან, მათ შორის ხდებოდა როგორც პირისპირ შეხვედრები, ასევე სატელეფონო კომუნიკაციაც. ადვოკატის მიერ წარმოდგენილ ახსნა განმარტებაში და მომჩივანის განმარტებაშიც ჩანს, რომ მათ შორის ადგილი ჰქონდა კომუნიკაციას, მათ შორის ადგილი ჰქონდა საქმიან ვიზიტსაც ბათუმში, რომელიც რამდენიმე დღეს გაგრძელდა. ე. გ. განმარტავს, რომ მათ შორის კომუნიაკაცია (შეხვედრა) იყო დაახლოებით 15. როგორც მომჩივანის მოწმე ლ. ლ. აღნიშნავს, ის თავად შეესწრო ადვოკატისა და ე. გ.-ს კომუნიკაციას, რა დროსაც განიხილებოდა სამომავლო საკითხები, შემდგომი ნაბიჯები და შეხვედრის დაგეგმვა. აღნიშნული მოწმე აცხადებს იმასაც, რომ მათ შორის იყო კერძო საუბრებიც, რასაც თავად არ დასწრებია, თუმცა პერიოდულად იღებდა ინფორმაციას თავად ე. გ.-სგან. შესაბამისად, არ დასტურდება ე. გ.-ს და მ. ბ.-ს შორის კომუნიკაციის პრობლემა.

7.15 საჩივრის ავტორის პრეტენზიით ადვოკატმა მას გარანტია მისცა დავის წარმატებით დასრულების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.3 მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ,,ადვოკატს უფლება არ აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით".

7.16 ,,ადვოკატის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს, იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში ნდობის ამაღლებისა და დაფასებისათვის. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მისგან მიღებული საქმის შედეგზე გარანტიის მიცემა ზიანს აყენებს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებსა და ნდობას და ასევე, კლიენტს უჩენს არასწორ მოლოდინს სასამართლო გადაწყვეტილებისადმი და კლიენტის მიერ შესაძლო რისკების შეფასება რთულდება. შესაბამისად, ადვოკატის მიერ გაცემული გარანტია საფრთხეს უქმნის როგორც საადვოკატო საქმიანობისადმი სანდოობას, ისე, მართლმსაჯულების სისტემისადმი დამოკიდებულებას (ეთიკის კომისიის 2014 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, დისციპლინურ სააქმეზე N077/13).

7.17 მხარეებს შორის გაფორმებულ და საქმეში წარმოდგენილილ ხელშეკრულების 2.5 პუნქტში მითითებულია, რომ „ადვოკატს უფლება არ აქვს გარანტიების მისცეს კლიენტის აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით". საჩივრის ავტორი ხელს აწერს ხელშეკრულებას შესაბამისად ივარაუდება, რომ ის გაეცნო და დაეთანხმა ხელშეკრულების პირობებს, რის გამოც ადვოკატ მ. ბ.-ს მიერ კლიენტისათვის საქმის შედეგზე გარანტის მიცემა არ დასტურდება.

7.18 ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, არ დგინდება კლიენტის პრეტენზიები ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერების, კველიფიციურობის, ინფორმაციის მიუწოდებლობის და გარანტიის მიცემის ნაწილში, რის გამოც ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. ბ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

7.19 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

## III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №062/20 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ მ. ბ.-ს მიმართ/სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/